

სომხეთი

- **სომხეთის მიმართულებით სახმელეთო ამანათი** იგზავნება ადრესატის მისამართზე ჩაბარების პირობით, შემდგომი პროცედურის დაცვით:
 - სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის ოფისამდე ტრანსპორტირების შემდგომ, აგენტი ოფისის წარმომადგენელი(კურიერი) აუცილებელი წესით ახდენს სატელეფონო კომუნიკაციას ადრესატთან, რომელთანაც აზუსტებს გზავნილის ჩაბარების დროს, კურიერის მიერ ადრესატის მისამართზე ვიზიტი ხორციელდება ერთჯერადად. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოხდება გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება, კურიერი აბრუნებს გზავნილს აგენტის ოფისში. ამის შემდგომ, ადრესატს შესაძლებლობა აქვს შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის მიერ სახმელეთო ამანათის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელოს ვიზიტი აგენტის ოფისში და ჩაიბაროს სახმელეთო ამანათი.
- **სომხეთის ტერიტორიაზე გაგზავნილი სახმელეთო ამანათის** ჩაბარების ვადების ათვლა იწყება სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის შემდეგ დამდგარი პირველი ორშაბათიდან:

ქალაქი	ჩაბარების ვადა
ერევანი	3 კალენდარული დღე
რეგიონები	5 კალენდარული დღე

- **სომხეთში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისების და გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:**

N.	აგენტის ოფისი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები	ქალაქები სადაც ბარდება გზავნილები

1	ერევანი	Hyusisayin Charagayat 17, building 12 ZIP CODE 0037	+37496887000	შაბათი - 12:00 სთ-დან - 13:00 სთ-მდე	ერევანი რეგიონები
---	---------	--	--------------	--------------------------------------	----------------------

- **სომხეთის** მიმართულებით გასაგზავნი სახმელეთო ამანათის ფასდადებით პირობით გაგზავნა არ ხორციელდება.
- დაუშვებელია ალკოჰოლური სასმელის გაგზავნა პლასტმასის ბოთლით, ნებადართულია მხოლოდ ქარხნულად ჩამოსხმული 2 ბოთლი ღვინისა და ლუდის (თითოეული სახეობის სასმელის მოცულობამ არ უნდა გადააჭარბოს 5 ლიტრს), ხოლო 1 ლიტრი სხვა სახეობის ალკოჰოლური სასმელის გაგზავნა.
- მედიკამენტების ცალკე გზავნილის სახით გაგზავნა არ მოითხოვება, მათი გაგზავნა შესაძლებელია სხვა გასაგზავნ ნივთებთან ერთად და შემდეგი რაოდენობით:
 - ❖ მედიკამენტების გაგზავნა დასაშვებია მხოლოდ ქარხნული შეფუთვით და არაუმეტეს 300 გრამისა. ამასთან:
 - ა) ერთი სახეობის აბები - არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) ფირფიტას;
 - ბ) სხვა ტიპის (მათ შორის, სითხის შემცველი) მედიკამენტები - არ უნდა აღემატებოდეს 300 გრამს.